

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პალატა

ქ-4515

კლატონ ხუდოვა

# საქართველოს ნიგნი

1921—1948

(სტატისტიკურ-ბიბლიოგრაფიული ნარკეცი)



თბილისი

1949



Государственная Книжная Палата Грузинской ССР

\* \* \*

П. Д. ХУНДАДЗЕ

# КНИГА ГРУЗИИ

1921—1948

(статистико-библиографический очерк)

ИЗДАТЕЛЬСТВО КНИЖНОЙ ПАЛАТЫ ГРУЗИНСКОЙ ССР

ТБИЛИСИ

1949

საქართველოს სსრ სახელმწიფო უნივერსიტეტი

\* \* \*

კლასონ ხუდოები

# საქართველოს მინისტრი

1921—1948

(სტატისტიკურ-ბიბლიოგრაფიული ნარკვევი)



მ. 2016 - 39450

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პირის პალატის ბაზობრივი

0 8 0 ლ 0 6 0

1949



3/მგებელი რედაქტორი ვ. გოგოლაძე

მხატვარი ლ. გრიგოლია

ტექნიკური დ. კომახიძე

საქ. სსრ პროლიტრატისა ჭავა გამოშეც. საქმ. სამიართ. სტამბა № 3, პლეზანოვის პრ. 59

ტირაჟი 1500. ჩელმოწერ. დასაბ. 27/IX 1949 წ. უე 05132. ანაწყობის  
ზომა  $6 \times 10 = 39.000$ . სასტ. ფორმ. რაოდ. 8 შეკვეთა № 2231

## 70 წარმომადგენი

როგორც ცნობილია, 1917—1924 წ.წ., წიგნის პალატის და-არსებამდე საქართველოში გამოცემულ ბეჭდვითი ნაწარმოების, როგორც აღნუსხვა (რეგისტრაცია), ისე სტატისტიკა არ წარ-მოებდა.

საბჭოთა პირველი წლების (1921—1925) ბეჭდვითი ნაწარ-მოების ბიბლიოგრაფიული აღნუსხვა მოვცა საქართველოს წიგნის მაღატამ 1926 წელს თავისი პირველი ბიბლიოგრაფიული ნაშრა-მის „წიგნის მატიანე 1917—1925 წ.წ.“ გამოცემით.

წიგნის მატიანეში გამოქვეყნებული ბიბლიოგრაფიული ცნო-ბები 1917—23 წლების ბეჭდვითი ნაწარმოების შესახებ აღებული იქნა თბილისის ბიბლიოთეკების კატალოგებიდან, ხოლო ცნო-ბები 1924-25 წლების პერიოდისა—უშუალოდ ბეჭდვითი ნაწარ-მოების უფასო სავალდებულო ცალებიდან, რომელთა წიგნის პა-ლატაში გზავნა მთავრობამ დააწესა 1924 წელს სპეციალური და-დგენილებით.

ცხადია, რომ დასახულებულ ბიბლიოგრაფიულ ნაშრომში გა-მოქვეყნებული ცნობები ამომწურავი ვერ იქნებოდა, რადგან პა-ლატა ჯერ კიდევ საორგანიზაციი პერიოდში იმყოფებოდა და უფასო სავალდებულო ცალების სტამბებიდან სისრულით მიღება არ იყო მოწესრიგებული, სავალდებულო ცალების მიღებაში ხარვეზებს ადგილი ჰქონდა 1925 წლის შემდეგაც, თითქმის 1938 წლამდე. ამიტომ ბუნებრივია, რომ ვერც ის სტატისტიკური ცნობები, რომლებიც 1925—1938 წლებში გამოქვეყნდა საქართვე-ლოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის შესახებ ვერ იქნებოდა სრული.

დიდი და ხანგრძლივი მუშაობის შედეგად საქართველოს სა-ხელმწიფო წიგნის პალატამ შესაძლო შეეგსო ბეჭდვითი ნაწარმოე-ბის არქივი დანაკლისი გამოცემებით, კერძოდ წიგნებით. 1948

ჭლისათვის 900-მდე სახელწოდების მარტო წიგნი იქნა შექნილი, რომელიც დაკარგული იყო კულტურის ისტორიისათვის.

ბეჭდვითი ნაწარმოების ხარვეზების შევსების შემდეგ პალატამ ახლად შეაღვინა საქართველოს სსრ წიგნის პროდუქციაზე სტატისტიკური ანგარიშები, და ამიტომ პალატის განკარგულებაში ამჟამად არსებული ცნობები ბევრად უფრო სრულია, ვიდრე წინად გამოქვეყნებული.

თუ მხედველობაში არ მიყიდებთ პალატის მიერ 1941 წ. გამოცემულ ციფრებსა და მასალებს „საქართველოს ბეჭდვითი სიტყვა საბჭოთა საქართველოს ოცი წლის თავზე“ და 1940-41 წლებში „ბიბლიოგრაფიის მოამბე“-ში გამოქვეყნებულ ზოგად სტატისტიკურ ანალიზს საქართველოს 1939 წლის ურნალ-გაზე-თებისა და წიგნის პროდუქციის შესახებ, ცნობები საქართველოს ბეჭდვითი ნაწარმოების განვითარების შესახებ, როგორც ითქვა არ გამოქვეყნებულა.

ამრიგად, დღემდე გამოქვეყნებული სტატისტიკური ცნობები საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის შესახებ ხარვეზების აღდგენასთან დაკავშირებით საჭიროებდა საერთო შესწორებებს..

გარდა ამისა, გამოქვეყნებული სტატისტიკური ცნობები ბეჭდვითი სიტყვის შესახებ იყო საერთო ხასიათისა, ამა თუ იმ პერიოდისა თუ წლის ფარგლებში და ყველა ამის გამო მკითხველს საშუალება არ ჰქონდა გაცნობოდა შედარებით სრულად საქართველოს სსრ ბეჭდვითი ნაწარმოების განვითარების გზებს.

ეს მოსაზრებები დაედო საფუძვლად ამ ნაშრომის შედგენასა და გამოცემას. წიგნი შედგენილია საქართველოს წიგნის პალატის საერთო მონაცემებზე.

ნაშრომში საქართველოს სსრ წიგნისა და პერიოდულ გამოცემების პროდუქცია წარმოდგენილია ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების ეტაპების მიხედვით — სტალინურ ხუთწლედებში, მკითხველთა დანიშნულებისა და შინაარსის გათვალისწინებით.

წიგნს დართული აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის ქალასიკოსთა ნაშრომების გამოცემების ქრონოლოგია ქართულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ საქართველოს სსრ ბეჭდვითი ნაწარმოების შესახებ შედარებით უფრო სრული სტატისტიკური ცნობები პირველად ქვეყნდება. ავტორი შეეცადა მის ხელში არსე-

ბულ ვრცელი მასალიდან წარმოედგინა მკითხველისათვის საბჭოთა ბეჭედვითი ნაწარმოების განვითარების შესახებ მხოლოდ ძირითადი მასალა, — მთავარი მაჩვენებლები.

ვფიქრობთ, რომ წიგნი ამ მოცულობითაც დახმარებას გაუწევს მკითხველს გამოიყენოს მუშაობაში წარმოდგენილი ცნობები ჩვენი ნაციონალური კულტურის ისეთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარების შესახებ, როგორც არის საბჭოთა საქართველოს ბეჭედვითი სიტყვა.

ცხადია წიგნი არ იქნება უნაკლო და ამის გამო სიამოვნებით მივიღებთ მკითხველთა ყველა შენიშვნებს.

დასასრულს მადლობით უნდა აღინიშნოს ის დახმარება, რაც გაუწია ავტორს პროფ. პ. გუგუშვილმა კონსულტაციით, აგრეთვე პალატის მუშაკებმა თ. ნაკაშიძემ, ვლ ჯოჯუამ, ევ. მარკევიჩმა და სისტემატური დახმარება ელ. დიასამიძის.

საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატა

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

დიალმა ისტორიულმა გამარჯვებებმა, რომლებიც საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს ლენინ - სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში, ძირიფესვიანად შესცვალეს საქართველოს სახე. საქართველო, მეფის რუსეთის კოლონია, საბჭოთა სახელმწიფო ებრივი წყობილების პირობებში, მდიდარი ინდუსტრიის და მოწინავე სოფლის მეურნეობის ქვეყნად გადაიქცა. კოლოსალურად გაიზარდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და მისი კულტურული დონე. იგი მთლიანი წერა-კითხვის მცოდნე ქვეყნად გახდა საბჭოთა ხელისუფლების დროს. არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ფართო ქსელი, უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც ყოველწლიურად აწვდიან ჩვენს ქვეყანას ლიტერატურის, სოფლის მეურნეობისა და ტექნიკის ახალაში კადრებს, საბჭოთა საქართველოს კულტურის მაღალ დონეზე ლაპარაკობს.

ქართული მეცნიერების უდიდესი ცენტრი – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც 1941 წელს დაარსდა, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ფართო ქსელს აერთიანებს თავის სისტემაში. ქართველ მეცნიერთა გამოკვლევები და აღმოჩენები ცნობილია სსრ კავშირში და მის გარეთ.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები — მუზეუმები, კულტურის სახლები, კინო-თეატრები და კლუბები, რომელთა ქსელი დღითი-დღე იზრდება ჩვენში, საქართველოს მშრომელთა კულტურის და განათლების მძლავრ კარებს წარმოადგენენ. 4.891 ბიბლიოთეკა ემსახურება ამჟამად საქართველოს მოსახლეობას 11.159.258 წიგნის ფონდით.

სრულყოფის გზით ვითარდება საბჭოთა ქართული ლიტერატურა და ხელოვნება.

წიგნი და საგამომცემლო საქშე, როგორც კულტურისა და ხალხის განვითარების ერთ-ერთი უდიდესი საშუალება, სახელმწიფო საქმედ გახდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე და განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს. წიგნი ხელმისაწვდომია ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა მთელი მასებისათვის. „საბჭოთა ხელისუფლებაზ ქართველი ხალხი უზრუნველჰყო ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების აღორძინებისა და შემდგომი განვითარების ფართო შესაძლებლობით“. (კ. ნ. ჩარკვი ი ა ნ ი).

წლების მიზანის და მიზანის განვითარების სამართლებრივი ხელმძღვანელობით, მრეწველობისა და სოფლი მეურნეობაში მოპოვებულ უდიდეს წარმატებათა გამო საქართველოს სს რესპუბლიკაშ უმაღლესი ჯილდო მიიღო. იგი ლენინის ორდენით იქნა დაჯილდოებული.

ქართველმა ხალხმა, რომელმაც ლირსეულად მოიხადა რა თავისი ვალი საშშობლოს წინაშე დიდ სამატულო ომის დროს ჰიტლერულ გერმანიისა და იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სსრ კავშირის ხალხებთან ერთად, შეუდგა ომისაგან მიყენებულ ჭრილობების მოშუშებას,—სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი შემდგომი აღმავლობის,—ახალი ხუთწლედის გეგმის განხორციელებას.

დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს წინასწარპერეტი—„შეიძლება იმედი გვქონდეს, რომ საბჭოთა ადამიანები, კომუნისტური პატრიის ხელმძღვანელობით, არ დაზოგავენ ძალასა და შრომას იმისათვის, რომ არა თუ შესრულდეს, არამედ გადაჭარბებით. შესრულდეს ახალი ხუთწლედი“—ამჯერადაც შესრულდა.

ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის თხოვწლედში შესრულებისათვის. თვითანთვემდე იზრდება საქართველოს მრეწველობის პროდუქციის გამოშვება, მკვეთრად იწევს მაღლა სოფლის მეურნეობის წარმოება. იზრდება და მტკიცდება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამკურნალო-დაწესებულებების ქსელი.

საქართველოს მშრომელთა ერთსულოვანი მისწრაფებაა წარმატებით განახორციელოს საქართველოს კ.პ.(ბ) XIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მშრომელთა კეთილდღეობის დონის ამაღლებისა და კულტურულ მშენებლობის დარგში.

\* \* \*

ბეჭდვითი ნაწარმოები ნაციონალური კულტურის ერთ-ერთი მქაფიი ამსახველია კაცობრიობის ისტორიული განვითარების შესახელა ეტაპზე. ამიტომ საბჭოთა საქართველოს ნაციონალურ კულტურის სიმაღლეზე იმითაც უნდა ვიმჯელოთ, თუ რამდენად მდიდარია დღეს იგი წიგნებით, რამდენად სრულყოფით ასახავს საბჭოთა წიგნი ქართველი ხალხის ცხოვრებას და შემოქმედებას, წარმატებებს, რომლებიც მოიპოვა მან ლენინისტი ალენის პარტიის ხელმძღვანელობით.

ცნობილება, რომ ქართველი ხალხი საუკუნებით მოქლებული იყო ნაციონალურ კულტურის განვითარების პირობებს. მეფის რუსეთი, ხალხთა ნამდვილი საპყრობილება, მთელი სისხსტიკით დევნიდა და ავიწროებდა თავისი არსებობის მანძილზე რუსეთში შემავალ ხალხთა ნაციონალურ კულტურას, კერძოდ ქართულ ხა-ციონალურ კულტურას. „მეფის რუსეთში აკრძალული იყო ნაციონალურ ენებზე გაზრდობისა და წიგნების გამოცემა. სკოლებში აკრძალული იყო დელაენაზე სწავლა. მეფის მთავრობა შიისწარა-ფიცია ჩატარებით ნაციონალური კულტურის ყოველგვარი გამოვლი-ნება, ატარებდა არარუს ეროვნებითი ძალატანებითი „გარუსე-ბის“ პოლიტიკას“ \*. ამით იყო გამოშვეული საქართველოს ნაციო-ნალური — განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურის ილია ჭავ-ჭავაძის გულისტკივილი. ქართული ნაციონალური კულტურის და-ქვეითების შესახებ 1886 წელს იგი წერდა: „ბევრს ჯერ პირველ-დაშვებითის განათლების ნიშანწყალიც არ მოსცებია. ხალხმა უმე-ტეს ნაწილად წერა-კითხვაც არ იცის. წიგნების კითხვა ჩევრში სრულიად არ არის გაერცელებული, რომ ხალხმა თავისი თავი მაინც გაიგოს, თუ სხვის კარგს ჯერ კითხვით ვერ შეიგნებს“ \*\*.

ერთის მხრივ მეფის რუსეთის სასტიკი ცენზურა, მეორეს მხრივ კი მძიმე მატერიალური სიცაშროვე საშუალებას არ იძ-ლეოდა პერიოდული პრესისა და წიგნების გამოცემისათვის, მიუხედავად იმისა, რომ დიდი იყო ხალხში მოთხოვნილება წიგნისადმი.

თუ როგორ დევნიდა ცენზურა მეფის რუსეთში პერიოდიკი-სა და წიგნების გამოცემას, ამას ნათლად მოწმობს მეფის რუსე-

\* საკაფშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი. 1946. გვ. 7.

\*\* ი. ჭავჭავაძე. ჩვენი ხალხი და განათლება. თხზულებანი ტ. 2. 1941, გვ. 594.

თის სახალხო განათლების მინისტრის კოვალეშვის საჯარო განცხადება: „როგორც მინისტრი სახალხო განათლებისა, მე უნდა ხელს ვუშეკობდე ლიტერატურის განვითარებას, წიგნისა და პერიოდიკის გამოცემის ზრდას და იმავე დროს, როგორც გენერალურნორი აუცილებლობით იძულებული ვარ ვაბრეკოლებდე ამ მოძრაობას, როგორც ქველ, ისე ახალ გამოცემათა აკრძალვით“ \*.

კიდევ უფრო სასტიკი იყო მეფის რუსეთის ცენზურა ნაციონალურ ოლქებში. საქართველოში მეფის ცენზურა კრძალავდა ისეთი წიგნების გამოცემასაც კი, რომლებიც რუსულ ენაზე უკვე გამოცემული იყო მოსკოვსა და პეტერბურგში, ან რუსეთის სხვა ქალაქებში. განსვენებულ აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის წიგნი „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში. მე-19 საუკუნეში“, წარდგენილი იქნა საცენზურო კომიტეტში მისი ქართულ ენაზე გამოცემის ნებართვისათვის, მაგრამ ცენზურამ ნებართვა არ მისცა. მაასინ 1906 წელს საცენზურო კომიტეტს წარედგინა პეტერბურგში რუსულად გამოცემული იმავე ავტორის იგივე წიგნი განმეორებით ნებართვის გამოთხვისათვის, მაგრამ ნებართვის გაცემის ნაცვლად, საცენზურო კომიტეტმა მოახსენა კავკასიაში მეფის მოადგილეს, რომ წიგნის ავტორი წარმოადგენს მებრძოლს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, რის შედეგადაც რუსულ ენაზე გამოცემული წიგნიც აკრძალეს \*\*.

ცენზურა პირდაპირ აუტანელ პირობებში აყენებდა ჩვენში თავისუფალ აზრსა და მსჯელობას. „დამავიწყდა, რომ ჩვენში წერა შეიძლება მხოლოდ იწილო-ბიწილო შროშანო გვრიტინოზე, — წერდა სტეფანე ჭრელაშვილი. — შეიძლება უაზრო ლაზლანდარობა ათასნაირ სისულელეზე და არა რომელსამე გულზე მოსაჭიდ საგანზე, მაღალი გრძნობის ამქოთებელ მოვლენებზე სჯა-ბაასი“ \*\*\*.

პირდაპირ აკრძალვასთან ერთად ცენზურა „საცენზურო წესდების დარღვევის“ მოტივით შეუშვევეტელი ჯარიმებით ანადგურებდა. ქართულ ურნალ-გაზეთებს. მთავრობა არბევდა რელაქციებს, აპატიმრებდა და პასუხისგებაში აქლევდა ურნალ-გაზეთების რედაქტორებს.

არა ერთი ქართული პროგრესიული პერიოდული გამოცემა და წიგნი გამხდარა მეფის რუსეთის სასტიკი ცენზურის მსხვერპლი.

\* პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი. ქართული წიგნი, 1629—1929. გვ. 224.

\*\* იქვე გვ. 267.

\*\*\* იქვე. გვ. 248.

1912 წელს, როგორც ამას პროფ. პ. გუგუშვილი გადმოგვცემს თავის ნაშრომში („ქართული წიგნი“, გვ. 27), თბილისის ცენტურას 24 სახელწოდების ქართული წიგნი აუკრძალავს 1905—1906 წლებში გამოცემული, რომელთა საერთო ტირაჟი 55.715. ცალს აღემატებოდა. დიდი ნაწილი ამ წიგნებისა იქვე გაუნადგურებია ცენტურას.

1904 წელში კავკასიის საცენტურო კომიტეტმა ცეცხლს მისცა ალექსანდრე ყაზბეგის ცნობილ თხზულების „ელისოს“ მთელი ტირაჟი, იმის გამო, რომ ავტორმა შენიშვნები და მცირეოდენი შესწორებები შეიტანა წიგნში ცენტურის შემდეგ.

1913 წელს კი აკაკის თხზულებათა კრებულიდან, რომელიც ქუთაისში დაიბეჭდა, ცენტურამ მთლიანად ამოაგლეჯინა დაბეჭდილ ტირაჟიდან ავტორს პოემა „ვორონცოვი“, იმის გამო, რომ იგი „მეტისმეტ პატრიოტულ ნაწარმოებად იქნა მიჩნეული“.

მძიმე იყო მდგომარეობა სამეცნიერო-პოპულარული წიგნების გამოცემის საქმეში.

1902 წ. ეურნალი „კვალი“ აღნიშნავდა: „ჩვენში, რომ სახალხო-სამეცნიერო წიგნაკების გამოცემა, მიუხედავად მათი საამდროვო მიუცილებელი საკიროებისა, კუს ნაბიჯით მიდის, ამას ყველა აშკარად ხედავს და ქართველი „ახალი მეითხველები“ ყველანი კარგადა გრძნობენ. ამგვარი წიგნების რიცხვი ორთავეს ხელების ათ თითხე ჩამოითვლება. შემდეგ ამისა იწყება სქელ-სქელი, მდაბიოსათვის მიუწვდომელი წიგნები ან კიდევ ზღაპარ-არაკები, უხეირო ლექსები და სიზმრების ახსნები“ \*.

1893—1904 წლებში, მიუხედავად საცენტურო შეზღუდვისა, მნიშვნელოვნად იზრდება ქართული წიგნის პროდუქცია. დროის ამ მონაკვეთში 1500-მდე სახელწოდების წიგნი იქნა გამოცემული. ეს პერიოდი ხასიათდება არა მარტო წიგნების რიცხობრივი ზრდით, არამედ თემატიკის მრავალსახეობითაც. რევოლუციის ტალღა მკაფიო გამოხატულებას პოულობს ამ პერიოდის გამოცემებში. წიგნის პროდუქციის დიდი ნაწილი რევოლუციური შინაარსისაა, ხოლო გარკვეული ნაწილი კი რევოლუციურ-მარქსისტული ხასიათის არის. თვალსაჩინოდ იზრდება წინა წლებთან შედარებით მხატვრული, საბავშვო, სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის პროდუქცია, საკოლო სახელმძღვანელოების გამოცემა-შესამჩნევ ზრდას აქვს ადგილი ამ პერიოდში სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემაშიც.

\* პ. გუგუშვილი. ქართული წიგნი. 1629—1929. გვ. 190.

ცენტრალური საგან შევიწროებული ბეჭდვითი სიტყვა არალეგა-  
ლურ პირობებში შლილა ფრთხებს.

1893—1904 წ. წ. ლეგალურ სტამპებსა და გამომცემლობე-  
ბის პარალელურად ამხანავ ი. ბ. ს ტალინის ხელმძღვანელო-  
ბით თბილისში, ბათუმში და ბაქოში არსდება არალეგალური  
სტამპები, სადაც იბეჭდება რევოლუციურ-მარქსისტული ლიტე-  
რატურა, რევოლუციური მოწოდებანი, რომლებიც ი. ბ.  
ს ტალინის მადლიან კალამს ეკუთვნიან.

ცალკე გამოცემებად იბეჭდება ამავე პერიოდში ი. ბ.  
ს ტალინის თანამებრძოლის ალექსანდრე წულუკიძის ნაწე-  
რები \*.

თვითმპურობელობის ღროს გამოცემული არალეგალური წიგ-  
ნების რაოდენობა 471 სახელწოდებას აღემატება.

1905 წლის რევოლუციამ გააუქმა წინასწარი ცენტრურა, რო-  
მელიც წინ ელობებოდა რევოლუციურ-მარქსისტულ და სამეცნიე-  
რო-პოპულარულ წიგნების გამოცემას. ცენტრურის გაუქმებით გან-  
ვითარების ფართო გზას დაადგა ჩერნში საგამომცემლო საქმე.

თუ წინა წლებში წიგნების და უურნალ-გაზეთების გამოცე-  
მის ცენტრურებს მხოლოდ თბილისი და ქუთაისი წარმოადგენდნენ,  
წინასწარი ცენტრურის გაუქმების შემდეგ მნიშვნელოვან მონაწი-  
ლეობას იღებენ წიგნებისა და უურნალ-გაზეთების გამოცემაში  
საქართველოს დაბა-ქალაქებიც.

მაგრამ, მეფის ხელისუფლება და მისი ცენტრურა გულგრი-  
ლად ვერ შეხვდებოდნენ ამ დიდ მოძრაობას, განსაკუთრებით მას  
შემდეგ, რაც რეაქციამ გაიმარჯვა. მეფის მთავრობამ სასტიკი  
ზომები მიიღო გამომცემლობების წინააღმდეგ, რომლებიც ათა-  
სობით უშეგებდნენ და ავრცელებდნენ წიგნებს და პერიოდულ გა-  
მოცემებს, განსაკუთრებით რევოლუციურ-სააგიტაციო წიგნებს.

საცენტრურო უწყების აღმფოთებას საზღვარი არ ჰქონდა.  
იგი წერდა: „გათამამებული გამომცემლობები, ცენტრურის ბრძყა-  
ლებისაგან განთავისუფლებულნი, დიდის ინტენსიობით განაგრძო-  
ბენ წიგნის გამოცემა-გავრცელებას. ბეჭდვითი სიტყვაში ამრიგად  
გამეფებულ ანარქიის ნიაღავზე წარმოსდგა უამრავი, მეტწილად  
იაფ-ფასიანი, ხალხთა მასებში ფართო გავრცელებისათვის და-  
ნიშნული „გაზეთები, უურნალები, შრომები და სხვა ბეჭდვითი სიტ-

\* ქ. ზარაშიძე. შესავალი. „ქართული წიგნი“. ბიბლიოგრაფია. ტ., I.  
1629—1920. 1941. გვ. XXII.

ყვის ნაწარმოებები, რომელიც აშეარად ემსახურებოდნენ რევოლუციურ მიზნებს, აღვიძებენ ბრბოში ბნელ ინსტიქტებს და მოუწოდებლენ მას კანონიერ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ”\*.

1905 წლის რევოლუციით გზახსნილი წიგნი და პერიოდიკა თავის განვითარების უმაღლეს წერტილს 1913 წელს აღწევს. 247 სახელწოდების მარტო ქართული წიგნი იქნა გამოცემული ამ წელს ნახევარ მილიონამდე საერთო ტირაჟით.

ალორძინების გზაზე დამდგარი წიგნი და პერიოდული გამოცემა, 1914 წელში მსოფლიო ომის დაწყების და სასტიკი სამხედრო ცენტურის შემოღების შედეგად, სწყვეტს თავის შემდგომ განვითარების გზას.

თებერვლის რევოლუციამ თუმცა გაანთავისუფლა წიგნი სასტიკი ცენტურისაგან, მაგრამ გასაქანი მაინც ვერ მისცა საქართველოს ბეჭდვითი ნაწარმოების განვითარებას, იგი ალორძინების გზაზე მაინც ვერ დგება, იმ ეკონომიკური კრიზისის გამო, რომელიც მსოფლიო ომს მოჰყვა და რომელმაც საქმაო ხანს გასტანა.

1917—1920 წლებში წიგნი განვითარების მკვიდრ ნიადაგზე რომ ვერ დგება ჩვენში, ამას ნათლად მოწმობს ის ფაქტი, რომ ამ პერიოდის ქართული წიგნის მთელ პროდუქციას 759 სახელწოდების წიგნი შეადგენს მხოლოდ.

(ნ. „ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია. ტ. I. 1629—1920“. წიგნის პალატა. 1941 წ.).

\* პ. გუგუშვილი. ქართული წიგნი. 1629—1929. 1929 წ. 1934

ო მ ა მ ა მ ა მ ა მ ა მ ა მ ა მ ა მ ა მ ა



ა მ ა მ ა მ ა მ ა მ ა მ ა მ ა მ ა მ ა მ ა

## საქართველოს სსრ წიგნის პროდუქცია

ოქტომბრის დიღმა სოკიალისტურმა რევოლუციამ საბოლოო, ოდ გაანთავისუფლა სსრ კავშირის ხალხები ნაციონალური ჩაგრისაგან და ამით პირობა შეუქმნა მათ ნაციონალურ კულტურის განვითარებისათვის.

საქართველოში სოკიალისტური რევოლუციის გამარჯვებამ უზრუნველყო ქართული ნაციონალური კულტურის შეუძარებელი აღორძინება და განვითარება.

ოქტომბრის დიღი სოკიალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ლენინი წერდა: „პრესა უნდა გადავაჭციოთ,—და გადავაჭციოთ კილიც,—სენსაციის ორგანოდან, პოლიტიკური ამბების შეტყობინების უბრალო აპარატიდან, ბურუუაზის სიცრუის საწინააღმდეგო ბრძოლის ორგანოდან,—მასის ეკონომიკურ აღზრდის იარაღად, იმასთან მასის გაცნობის იარაღად, თუ როგორ უნდა მოვაგეორო შრომა ახლებურად“ \*.

ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა უცხოელ დელეგაციის კითხვაზე გაცემულ პასუხით გაამდიდრა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება, როგორც ბეჭდვითი სიტყვის შესახებ საერთოდ, ასევე ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების კლასობრივი ხასიათის შესახებ.

დელეგაციის შექითხვაზე: „რატომ არ არის ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება საბჭოთა სოკიალისტურ რესპუბლიკების კავშირში“, ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა უპასუხა: „რომელ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე ლაპარაკობთ თქვენ? ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება რომელ კლასისათვის—ბურუუაზისა თუ პროლეტარიატისათვის? თუ ლაპარაკია ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე ბურუუაზისათვის, ეს ჩვენ არ გვაქვს და არც გვექნება, სანამ არსებობს პროლეტარიატის დიქტატურა... დაუკვირდით საბჭოთა კავშირის ცხოვრების პირობებს, შემოიარეთ მუშათა რაო-

\* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თბილებათა] პირველი სრული გამოცემა. ტ. XXII. 1932. გვ. 484—485

ნები და ოქვენ გაიგებთ, რომ საუკეთესო სტამბები, ბეჭდელი  
სიტყვის საუკეთესო სახლები, ქალალდის ფაბრიკები, საღებავე  
ბის ქარხები, რომლებიც საჭიროა ბეჭდებისათვის, უდიდესი სა  
სახლები კრებებისათვის—უველაფერი ეს და ბევრი სხვა რამეც  
რომელიც საჭიროა მუშათა კლასის ბეჭდებითი სიტყვის თავის  
უფლებისათვის მთლიანად და საცხებით არის მუშათა კლასის

### საქართველოს სსრ გამომცემი

სამოცემის მიზანი	1921—1927 წ.წ.		1928—1932 წ.წ.	
	სახელ-წოდება	ტირაჟი (ათასებ-ზი)	სახელ-წოდება	ტირაჟი (ათასებ-ზი)
1 სახელგამი	732	3.191.92	2.606	14.016.25
2 სტალინის სახ. უნ-ტის გამომცემ-ლობა	100	56.05	230	105.27
3 კომუნისტი-ს გამომცემლობა	5	4.9	14	61.5
4 „წარია ვოსტოკა“	43	77,1	63	125.15
5 „საბჭოთა მწერალი“	—	—	33	146.1
6 მეცნიერებათა აკადემიის გამომ-ცემლობა	—	—	7	10.6
7 „ტექნიკა და შრომა“	1	—	201	469.1
8 საბლიტგამი	—	—	—	—
9 საქმელგამი	—	—	2	6.0
10 პედაგოგიკის ინ-ტის გამომცემლობა	—	—	—	—
11 აფხაზეთის ასსრ სახელგამი	—	—	28	63.9
12 აჭარის ასსრ სახელგამი	—	—	6	23.5
13 სამხრეთ მსეთის ავტონომიური ოლქის სახელგამი	—	—	11	14.4
14 საქ. წიგნის პალატის გამომცემ-ლობა	—	—	—	—
ს უ ლ . .		881	3,329.97	3.201 15.041.77

და შირომეული მასების განკარგულებაში, ამას ჩვენში ეწოდება  
ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება მუშათა კლასისათვის". \*

წიგნი და საგამომცემლო საქმე, როგორც იდეოლოგიური  
ფრონტი და ხალხის განათლების უდიდესი სამუალება, ჩვენი პარ-  
ტიისა და მთავრობის მუდმივი მზრუნველობის საგანი. გახდა.

121—1948 წიგნის პროდუქცია

ცხრილი № 1

1937 წ.წ.	1938—1940 წ.წ.	1941—1945 წ.წ.	1946—1948 წ.წ.	ს უ ლ 1921—1948 წ.წ.				
იმრავი თასები- ზი)	სახელ- წოდე- ბა	ტირაჟი (ათასებ- ზი)	სახელ- წოდე- ბა	ტირაჟი (ათასებ- ზი)	სახელ- წოდე- ბა	ტირაჟი (ათასებ- ზი)	სახელ- წოდე- ბა	ტირაჟი (ათასებ- ზი)
389.05	754	12.566.8	692	6.744.5	699	8.697.8	7.189	60.606.4
214.7	558	369.5	160	122.5	116	235.6	1.271	1.103.6
300.4	47	307.4	69	296.4	123	1.595.3	281	2.345.9
494.9	115	1.235.6	152	995.4	84	605.3	530	3.533.4
591.8	125	462.4	126	400.1	108	533.25	543	2.133.65
18.3	83	83.2	169	89.3	157	70.1	431	271.5
213.2	144	462.45	163	458.7	153	326.3	1.131	2.929.7
—	184	984.8	197	1.115.4	150	965.45	531	3.065.65
247.5	246	445.9	227	298.2	184	440.0	730	1.437.6
—	—	—	—	—	133	161.55	133	161.55
314.42	216	523.4	90	141.1	73	144.9	865	1.887.7
155.2	70	299.7	49	200.7	22	104.0	192	783.1
367.19	139	428.65	56	142.2	70	154.7	383	1.107.1
1.4	3	5.9	8	8.35	28	89.65	41	105.3
508.06	2684	18.175.7	2158	11.012.85	2100	14.123.9	14.251	81.472.15

\* ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი — ლ ე ნ ი ნ ი ნ მ ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ ი . 1931. გ ვ . 400—401.

შედიდეს მოვლენას წარმოადგენს საქართველოს კულტურის ბატონიაში 29.603 სახელწოდების წიგნის გამოცემა 1921—48 წლების მანძილზე 119.329,644 ცალის საერთო ტირაჟით.

საქართველოში წიგნის ბეჭდების შემოღების დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქართული წიგნი 6.000 სახელწოდებით გამოიცა, ხოლო საბჭოთა პერიოდში 19.919 სახელწოდებით და 90.454,855 ცალის საერთო ტირაჟით. ე. ი. მხოლოდ სახელწოდებით 3-ჯერ და კიდევ უფრო მეტი, ვიდრე ქართული ბეჭდური წიგნის ისტორიის მთელ სამ საუკუნის მანძილზე.

ამჟამად ჩვენში სავსებით განხორციელებულია ლოზუნგი „წიგნი—მასას!“.

1926 წელს (მოსახლეობის აღწერის წელი) მოსახლეობის ერთ სულზე 0.85 წიგნი გამოდიოდა საქართველოში, ხოლო 1939 წელს (მოსახლეობის აღწერის წელი) 2 წიგნი.

წინათ საქართველოში წიგნი გამოდიოდა მხოლოდ რუსულ, ქართულ, სომხურ ენებზე. ამჟამად საქართველოში წიგნი გამოდის ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, სომხურ და საქართველოს მოსახლეობის სხვა ენებზე.

1926 წელს საქართველოში წიგნი გამოიცა 8 ენაზე—1935 წელს—18 ენაზე.

რომ ნათლად წარმოვიდგინოთ წიგნის გამოცემის აღმავლობა ომის წინაპერიოდში, მოგვყავს ცხრილი:

წიგნის გამოცემა 1921—1940 წლებში

პირველ ათწლეულში	მეორე ათწლეულში
წიგნები . . . . .	8.774
ტირაჟი (ათასებში) . . . . .	25.029.29
ანაბეჭდი ფურცელი (ათასებში)	133.780.75

პირველ ათწლეულთან შედარებით მეორე ათწლეულში წიგნის გამოცემა გაიზარდა თითქმის 1, 5-ჯერ, ტირაჟი 2-ჯერ, ხოლო ანაბეჭდი ფურცელი 3-ჯერ უფრო მეტად.

პირველ ათწლეულში წიგნის საშუალო წლიური სახელწოდება უდრის 877, ხოლო მეორე ათწლეულში—1382. საერთო ტირაჟის მხრივ პირველ ათწლეულში საშუალო წლიური ტირაჟი შეადგენს 2.502.929 ცალს, მეორე ათწლეულში—6.558.681; ანაბეჭდი ფურცელი პირველ ათწლეულში—13.378.075, მეორე ათწლეულში—45.560.272.

1921 წელში წიგნის გამოცემის საერთო ტირაჟი შეადგენს 417.500 ცალს, რომელიც ნახევრამდე ვერ უსწორდება 1913 წლის წიგნის პროდუქციას, რაც სავსებით გასაგებია.

1923—27 წლები სახალბო მეურნეობის ძლიერებისა და ამასთან ერთად მთელი ლიტერატურულ-საგამომცემლო საქმის აღორძინების წლებიცაა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებიდანვე იწყება პოლიგრაფიულ საქმის გაერთიანება, რითაც ძლიერდება პოლიგრაფიული ბაზა. სწარმოებს ახალი დიდი მანქანების შეძენა, რაც წინათ კერძო მესტამბის უნარსა და შესაძლებლობას აღემატებოდა, სტამბის კვალიფიციურ მუშაკთა კადრების მოსამზადებლად არსდება პოლიგრაფიული სკოლა. ყველა ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ჩენენში საგამომცემლო საქმის მკვიდრ ნიადაგზე დადგომას.

1921 წელს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების რაშოდენიმე თვეს შემდეგ, არსდება საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა, რომელიც შემდგომ უდიდეს გამომცემლობად ხდება. საქართველოს სსრ პროდუქციის უდიდეს ნაწილს სახელგამის გამოცემები შეადგენს. (ნ. ცხრ, № 1).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მკვიდრ ნიადაგზე დგება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, რომლის 1921—48 წლების წიგნის პროდუქცია 1271 სახელწოდებას შეადგენს 1.103.630 ცალის საერთო ტირაჟით.

1925 წელს არსდება გამომცემლობა „ქართული წიგნი“, რომელიც შემდეგ რეორგანიზებული იქნა „ფედერაციის“ და ბოლოს „საბჭოთა მწერალის“ სახელწოდებით. მისი 1925—48 წ.წ. წიგნებს პროდუქცია 543 სახელწოდებას შეადგენს 2.133.650 ცალის საერთო ტირაჟით.

1926 წელს ჩამოყალიბდა ჩენენში, როგორც დამოუკიდებელი გამომცემლობა „ტექნიკა და მრავალი“, რომელიც მოღვაწეობის პირველ სანებში პროფესიულ ლიტერატურის გამომცემლობას ან ხორციელებს მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად. 1931 წელს მიმდინარეობს ამ გამომცემლობის რეორგანიზაცია. გამომცემლობას ამ დროიდან ევალება სპეციალური და ტექნიკური ლიტერატურის გამოცემა და გავრცელება.

1926-დან 1948 წლამდე „ტექნიკა და შრომა“-მ გამოსცა 1.131 სახელწოდების წიგნი 2.929.710 ცალის საერთო ტირაჟით.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა გამომცემლობა „ვარა ვისტოკა“ ქართულ მწერლობის უკვდავ ქმნილებათა რუსულ ენაზე თარგემნისა და გამოცემის საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში გამომცემლობა „Заря Востока“-ს ფუნქციებს ასრულებდა „Закхнига“. გამომცემლობა „Закхнига“-მ და „Заря Востока“-მ 1921—48 წლებში გამოსცა 530 სახელწოდების წიგნი 3.533.410 ცალის საერთო ტირაჟით.

ამავე ნაყოფიერ მუშაობას ჟეწვეა გამომცემლობა „კომუნისტი“, რომლის 1921—48 წ.წ. წიგნის პროდუქციას შეადგენს 281 სახელწოდება 2.345.805 ცალის საერთო ტირაჟით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა (1941 წლამდე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფილიალის გამომცემლობა) წიგნის გამოცემის დარგში მუშაობას იწყებს 1920—32 წლებში, 1928—48 წ.წ. მან 431 სახელწოდების სამეცნიერო კვლევითი წიგნი გამოსცა 271.484 ცალის საერთო ტირაჟით.

ამავე პერიოდში ცალკე არსდება „ბიომედგამი“, — სამედიცინო გამომცემლობა, რომლის პროდუქციას დღეს 730 სახელწოდების სამედიცინო ხასიათის წიგნი წარმოადგენს 1.437 635 ცალის საერთო ტირაჟით.

1938 წელს პარტიისა და მთავრობის დადგენილებით არსდება ჩვენში სპეციალური საბაზო გამომცემლობა „საბლიტგამი“. საბლიტგამის 1938—48 წ.წ. წიგნის პროდუქცია უდიდეს მაჩვენებლებს იძლევა, იგი შეადგენს 531 სახელწოდების საბაზო წიგნს 3.065.650 ცალის საერთო ტირაჟით.

ლენინ-სტალინის ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის განუხრელ გატარების შედეგად ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ აღმავლობის დიდ გზას დაადგა აფხაზეთის და აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. 1928 წლიდან აფხაზეთში საფუძველი ეყრდნობა წიგნის სახელმწიფო გამომცემლობის საქმეს, არსდება აფხაზეთის სახელგამი. აფხაზეთის სახელგამის 1928—48 წ.წ. პროდუქციას შეადგენს 865 სახელწოდების წიგნი 1.887.690 ცალის საერთო ტირაჟით.

ამავე პერიოდში არსდება სახელგამი აჭარის ასსრში. აჭარის ასსრ სახელგამის 1928—48 წ.წ. წიგნის პროდუქცია შეადგენს 192 სახელწოდებას 783.100 ცალს საერთო ტირაჟით.

1928 წლიდან საფუძველი ეყრდნობა გამომცემლობის ორგანიზაციას სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ლენქში. 20 წლის მანძილზე (1928—48 წ.წ.) სამხრეთ ოსეთის სახელგამმა გამოსცა 383 სახელწოდების წიგნი, 1.107.140 ცალის საერთო ტირაჟით.

ამერიკა საქართველოს სსრში 16 გამომცემლობა არსებობს, რომელთა მიერ გამოცემული წიგნის პროდუქცია, 1921—48 წლების

ბის შანძილზე 14.251 სახელწოდების წიგნს აღწევს 81.472.150 ცალის საერთო ტირაჟით. (ნ. ცხრ. № 1)\*.

ცხრილი № 2

**საქართველოს სსრ 1921—1948 წლების წიგნის საერთო პროდუქცია**

წლები	სახელწოდებათა რაოდენობა	ყველა გასრულებულების ნაბეჭდი ფურცელი (ათასებში)	ტირაჟი (ათასებში)	ანაბეჭდ ფურცელთა რაოდენობა მოელ ტირაჟში (ათასებში)
1921—1927	4.607	25.457,52	10.675,47	66.569,2
1928—1932	7.603	33.647,85	26.981.564	143.027.547
1933—1937	6.006	33.219,7	31.156,4	231.859,8
1938—1940	4.378	21.483,8	20.796 11	147.926.924
1941—1945	4.043	16.467,36	14.290,1	74.197,5
1946—1948	2.966	19.623,52	15.430,0	141.442,6
სულ	29.603	149.899,75	119.329,644	805.023.571

ცხრილი № 3

**საქართველოს სსრ 1921—1948 წლების წიგნის პროდუქციის საშუალო ტირაჟი და საშუალო მოცულობა**

წლები	სახელწოდებათა რაოდენობა	ტირაჟი (ათასებში)	ანაბეჭდ ფურცელთა რაოდენობა (ათასებში)	საშუალო რაოდენობა (ათასებში)	
				საშუალო ტირაჟი	საშუალო მოცულობა
1921—1927	4.607	10.675,47	66.569,2	2,3	6,6
1928—1932	7.603	26.981.564	143.027.547	3,6	5,3
1933—1937	6.006	31.156,4	231.859,8	5,2	7,4
1938—1940	4.378	20.796,11	147.926.924	4,8	7,1
1941—1945	4.043	14.290,1	74.197,5	3,5	5,2
1946—1948	2.966	15.430,0	141.442,6	5,2	9,2
სულ	29.603	119.329,644	805.023.571	4,0	6,8

\* 1921—48 წ.წ. გაუფარმებელი გამოშეცემლობის, სამინისტროების, სამდგრავო მინისტრობის, პაროკიულ და პროცესუალ თარგანიზაციების და საზოგადოების მიერ გამოშეცემულია 15,352 სახელწოდებულის წიგნი 37. 557.499 ცალის საერთო ტირაჟით,

1923—27 წლებში წიგნის გამოცემის საქმეში მნიშვნელოვანი გარდატეხას აქვს აღგილი. 1923 წლის პროდუქცია თითქმის უთანასწორდება 1913 წლის წიგნის პროდუქციის, ხოლო 1924 წლის პროდუქცია კი, როგორც სახელწოდებით, ისე ტირაჟით ბევრად უსწრებს 1913 წელს. (ნ. ცხ. № 4).

1923—27 წლებში თანდათან იზრდება სპეციალური დარგის სახელმძღვანელოების, სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურის პროდუქცია. წიგნის საშუალო ტირაჟი ამ პერიოდში აღწევს 3.400 ცალს, ე. ი. 1913 წელთან (2.000 ცალი) შედარებით იზრდება 1,5-ჯერ მეტად.

საბჭოთა საქართველოს წიგნის 1921—48 წლების საშუალო ტირაჟი 4.000 ცალს შეადგენს. პირველ სტალინურ ხუთწლედში ჩვენი წიგნის საშუალო ტირაჟი უდრის 3.600 ცალს, მეორე სტალინურ ხუთწლედში—5.200 ცალს; მესამე სტალინური ხუთწლედის პირველ სამ წელში—4.800 ცალს; სამამულო ომის პერიოდში—3.500 ცალს, ხოლო მეოთხე სტალინურ ხუთწლედში წიგნის საშუალო ტირაჟი უთანასწორდება მეორე ხუთწლედის წიგნის საშუალო ტირაჟს—5.200 ც. (ნ. ცხ. № 3).

როგორც ამას ცხრილი № 5 და № 6 გვიჩვენებს, 1921—48 წლების საქართველოს სსრ წიგნის პროდუქციის ენობრივ მაჩვენებლებში დიდ ზრდას აქვს აღგილი, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს ჩვენს ქვეყანაში ლენინ—სტალინის პარტიის ბრძოლი ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარებას.

როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, 1921—48 წლებში, ისტორიის ამ მცირე მონაკვეთზე, 19.919 სახელწოდების წიგნი გამოიცა ქართულ ენაზე, 90.454.855 ცალის საერთო ტირაჟით. რუსულ ენაზე ამავე პერიოდში, 7.173 სახელწოდების წიგნი—22.596.600 ცალის საერთო ტირაჟით.

აფხაზურ პირველ ბეჭდური წიგნიზე მოყოლებული („Апетища апбани“. 1865 წ. თბილისი), 1920 წლამდე, ე. ი. აფხაზურ ბეჭდური წიგნის ისტორიის 65 წლის მანძილზე ქალაქ თბილისსა და თვით აფხაზეთში 44 სახელწოდების წიგნი, ბროშურა და ბიულეტენი გამოიცა აფხაზურ ენაზე \*.

\* Л. Демидов. „Опыт национальной библиографии. Описание печатных произведений на абхазском языке. ხელნაწერი ინახება საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატაში.“

საქართველოს სსრ 1921—1948 წლების წიგნის პროდუქციის  
დინამიკა

წლები	ლაშვილი ლაშვილი ლაშვილი	ტირაჟი (ათასებზე)	ანაბეჭდ ფურ- ცელთა ოთ- დენობა (ათასებზე)	% შეფარდება 1921 წელთან		
				ლაშვილი ლაშვილი ლაშვილი	ტირაჟი	ანაბეჭდი ფურცელი
1921	159	417,5	1.865,8	100	100	100
1922	236	507,7	3.498,8	148,4	122,0	187,6
1923	362	399,2	2.521,8	227,6	95,6	135,1
1924	666	1.266,0	6.784,0	418,9	303,2	363,8
1925	1054	2.957,6	15.991,0	662,9	564,7	857,4
1926	996	2.230,5	15.798,5	626,4	534,2	847,2
1927	1134	2.897,0	20.109,3	713,3	691,4	1099,0
1928	1171	3.137,0	18.473,25	736,5	751,4	990,5
1929	1331	3.507,8	19.923,1	830,1	840,2	1062,3
1930	1665	6.709,02	28.815,2	1047,8	1607,0	1544,0
1931	1565	6.381,0	35.342,9	983,6	1528,4	1895,0
1932	1871	7.253,3	40.473,1	1176,7	1737,3	2170,0
1933	1302	5.102,2	36.455,6	818,9	1222,3	1960,0
1934	1435	6.071,4	47.262,2	902,5	1454,2	2534,0
1935	1088	5.907,1	50.381,0	684,7	1438,0	2700,0
1936	1165	7.038,5	53.382,6	733,0	1686,0	2325,0
1937	1016	7.037,2	44.378,4	638,0	1686,0	2379,5
1938	1117	7.955,5	67.362,1	702,5	1906,0	3074,0
1939	1622	7.222,3	41.799,6	1020,1	1730,0	3240,0
1940	1639	5.618,3	38.765,0	1030,8	1370,0	2078,0
1941	1548	4.769,0	31.116,0	973,5	1142,0	1668,0
1942	968	3.243,0	10.020,0	608,8	779,0	532,0
1943	622	1.947,4	7.732,0	391,2	466,0	414,6
1944	423	1.164,0	9.472,0	266,0	272,0	507,8
1945	482	2.689,0	15.857,0	303,1	630,0	860,0
1946	739	4.358,0	34.219,5	464,8	1045,0	1044,0
1947	980	5.018,8	48.498,8	616,3	1203,0	2593,0
1948	1247	6.052,7	58.724,3	784,2	1451,3	3094,0

აფხაზურშა წიგნშა სრული განვითარება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჰქონა. 1921—48 წლებში 549 სახელწოდების მხოლოდ წიგნი იქნა გამოცემული აფხაზურ ენაზე 1.268.420 ცალის საერთო ტირაჟით, ე. ი. სახელწოდებით 12-ჯერ მეტი, ვიდრე მთელი 65 წლის მანძილზე (1865—1920 წ.წ.) ტირაჟის მხრივ შედარებაც კი არ შეიძლება საბჭომდელ აფხაზური წიგნის საერთო ტირაჟთან.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ათეული სახელწოდების ოსური წიგნი თუ არის მხოლოდ გამოცემული, 1921—48 წლებში 512 სახელწოდების წიგნი გამოიკა ასურ ენაზე 1.430.150 ცალის საერთო ტირაჟით.

ცხრილი № 5

**საქართველოს სსრ 1921—1948 წლების წიგნის პროდუქცია  
ენების შინებით**

	ვ 6 ვ ბ ი	სახელწოდება	ტირაჟი (ათასებში)
1	ქართული . . . . . . . . . . . . . . . . . .	19.919	90.454,855
2	რუსული . . . . . . . . . . . . . . . . . .	7.173	22.596,6
3	აფხაზური . . . . . . . . . . . . . . . . . .	549	1.268,42
4	ოსური . . . . . . . . . . . . . . . . . .	512	1.430,150
5	სომხური . . . . . . . . . . . . . . . . . .	873	2.058,39
6	აზერბაიჯანული . . . . . . . . . . . .	416	924,92
7	სხვადასხვა ენებზე * . . . . . . . . . . . .	161	596,199
		სულ	29.603
			119.329,644

1921—48 წლებში აზერბაიჯანულ ენაზე გამოცემულია 416 სახელწოდების წიგნი 924.920 ცალის საერთო ტირაჟით; სომხურ ენაზე — 873 სახელწოდების წიგნი 2.058.039 ცალის საერთო ტირაჟით, რომელთა დიდი ნაწილი სასკოლო სახელმძღვანელოებს წარმოადგენს.

ჩვენი ნაციონალური კულტურის განვითარების კიდევ ერთ საკუთრეთსო მაჩევენებელს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საქართველოს სსრ წევნის საერთო პროდუქციის 75% შეადგენს ქართული ორიგინალური ლიტერატურა, შექმნილი მეცნიერებისა,

\* ძორითადად უცხოურ ენების სახელმძღვანელოები.

## საქართველოს ხსრ 1921—1948 წლების ქართული წიგნის პროდუქცია

წლები	სახელმისადაბათ რაოდენობა	ტირაჟი (ათასებში)
1921	132	380,2
1922	162	416,6
1923	279	348,8
1924	420	957,2
1925	666	2.316,4
1926	641	1.608,7
1927	807	2.324,189
1928	790	2.355,9
1929	924	2.705,9
1930	1.085	4.651,96
1931	1.020	4.760,15
1932	1.237	5.686,9
1933	870	3.938,5
1934	800	4.381,5
1935	638	4.434,0
1936	575	5.164,2
1937	670	5.790,9
1938	789	6.160,946
1939	1.145	4.544,8
1940	1.189	4.011,4
1941	1.150	4.448,6
1942	609	2.158,6
1943	328	1.146,6
1944	325	940,9
1945	363	2.165,5
1946	567	3.545,66
1947	773	4.059,5
1948	965	5.045,35
სულ	19.919	90.454,855

ტექნიკისა, სოფლის მეურნეობის, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის საქართველოს კადრების მიერ. მაგალითად, მეორე სტალინურ ხუთწლებში (1933—37 წ.წ.) გამოცემულ 6.006 სახელწოდების წიგნიდან 4.476 ორიგინალური ლიტერატურა, ხოლო 1530 თარგმნილა. ამ პერიოდის ორიგინალური ლიტერატურა მთელი პროცენტურის 75%, შეადგენს. 1938—40 წლებში ორიგინალური ლიტერატურა ამ პერიოდის პროცენტურის 78%, შეადგენს (4.378 სახელწოდებიდან 3.405 ორიგინალურია, ხოლო 933 თარგმნილი).

ნაციონალური კულტურის განვითარების ერთერთ მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ საბჭოთა ხელისუფლების ღროს წიგნის საგამომცემლო საქმე მხოლოდ დედა-ქალაქის ფარგლებით არ განისაზღვრება. წიგნის გამოცემაში ფართო მონაწილეობას ღებულობს ქ. ქუთაისი, რომლის პროცენტურიას 270 სახელწოდების წიგნი შეადგენს 628.370 ცალის საერთო ტირაჟით, ზუგდიდი (33 სახელწოდების წიგნი—124.500 ცალის საერთო ტირაჟით), თელავი (19 სახელწოდების წიგნი—27.200 ცალის საერთო ტირაჟით), ზესტაფონი (9 სახელწოდების წიგნი—11.800 ცალის საერთო ტირაჟით), ლაგოდეხი (8 სახელწოდების წიგნი—9.400 ცალის საერთო ტირაჟით) და ჩვენი რესპუბლიკის სხვა მრავალი ქალაქი და რაიონის ცენტრი.

საქართველოს სსრ 1921—48 წლების წიგნის პროცენტურიაში დიდი ადგილი უჭირავს ქალაქ სოხუმის გამოცემებს. 1.569 სახელწოდების წიგნით 2.806.740 ცალის საერთო ტირაჟით, სტალინირის 564-სახელწოდების წიგნით 1.432.290 ცალის საერთო ტირაჟით; ბათუმის 272 სახელწოდების წიგნით 923.100 ცალის საერთო ტირაჟით.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოს წიგნი იძექდებოდა მოსკოვსა, ლენინგრადსა, ხარკოვსა, როსტოკსა, ერევანსა, ბაქოსა და მომზე რესპუბლიკების სხვა ქალაქებში. (ნ. ცხრ. № 7).

ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილებას მოწმობს ის ფაქტიც, რომ საბჭოთა საქართველოში წიგნი ხელმისაწვდომია ფასის მხრივ შერომელთა ფართო მასებისათვის.

1923—48 წლებში, ე. ი. მეოთხედი საუკუნის მანძილზე გამოცემულია 29.208 სახელწოდების წიგნი. მათ შორის ფასიანი—15.548 სახელწოდებისა 96.225.155 ცალის საერთო ტირაჟით.

1923—48 წლების 15.548 სახელწოდების ფასიანი წიგნის მთელი ტირაჟის ნომინალურ ფასს. შეადგენს 246.969.290 მანეთი. (ნ. ცხრ. № 8).

საქართველოს სსრ 1921—1948 წლების წიგნის პროდუქცია  
გამოცემის აღვალის მიზედებით\*

გამოცემის აღვალი	მიზედები	ყველა გამო- ცემათა კომ- პლექტების საშენებლის ფასი	ტირაჟი (ათასებში)	ანაბეჭდი	
				ტირაჟი (ათასებში)	ფურცელთა რაოდნობა მოვლ ტირაჟი (ათასებში)
1 თბილისი . . . . .	26.694	137.005,09	112.283,02	729,450,155	
2 ქუთაისი . . . . .	270	1.306,24	628,37	4.817,46	
3 ზუგდიდი . . . . .	33	74,25	124,5	206,1	
4 თელავი . . . . .	19	36,62	27,2	46,0	
5 ზესტაფინი . . . . .	9	8,39	11,8	6,8	
6 ლაგოდეხი . . . . .	8	4,0	9,4	4,8	
7 გორი . . . . .	5	22,19	12,5	36,35	
8 ჭიათურა . . . . .	5	12,08	3,2	9,0	
9 ფოთი . . . . .	4	8,23	5,65	11,89	
10 ხაშური . . . . .	3	2,23	3,3	2,7	
11 ქასპი . . . . .	2	1,4	3,1	2,5	
12 მაჩარაძე . . . . .	2	2,31	0,5	0,3	
13 რუსთავი . . . . .	2	3,5	0,45	0,75	
14 საგარეჯო . . . . .	2	3,88	1,03	2,93	
15 ცხაკაია . . . . .	2	11,03	3,01	18,2	
16 ამბროლაური . . . . .	1	2,0	0,3	0,6	
17 ახალქალაქი . . . . .	1	2,88	—	—	
18 გურჯაანი . . . . .	1	2,38	3,0	7,1	
19 ლანჩხუთი . . . . .	1	8,0	0,5	4,0	
20 ონი . . . . .	1	1,8	—	—	
21 სამტრედია . . . . .	1	1,0	0,5	0,5	
22 სიღნაღი . . . . .	1	0,5	—	—	
23 შორომანი . . . . .	1	1,013	—	—	
24 წალენჯიხი . . . . .	1	3,0	1,0	8,0	
25 ხონი . . . . .	1	1,0	1,0	1,0	
26 სუბუმი . . . . .	1.569	5.715,63	2.806,74	13.444,512	
27 აკარმარა . . . . .	2	2,7	0,9	1,2	
28 გუდაუთი . . . . .	5	4,33	0,6	0,4	
29 ოჩამჩირე . . . . .	1	0,9	0,2	0,2	
30 გაგრა . . . . .	2	7,6	0,4	2,2	
31 სოჭი . . . . .	1	1,13	0,3	0,3	
32 სჭალინირი . . . . .	564	3,330,99	1.432,29	9.815,198	
33 ბათუმი . . . . .	272	1.302,12	923,1	4.406,55	
34 მოსკოვი . . . . .	10	72,29	21,0	191,26	
35 ლენინგრადი . . . . .	3	2,63	9,0	7,9	
36 ხარკოვი . . . . .	1	12,83	1,0	12,9	

\* ცხრილში არ შედის ის წიგნები, რომელთა გამოცემის აღვალი დადგანილი არ არის.

	გამოცემის ადგილი	შეკვეთი ნორი	ყველა გამო- ცემათა კომ- პლექტების ანაბეჭდი ფურცელი (ათასებში)	ტირაჟი (ათასებში)	ანაბეჭდ ფურცელთა ნორიდობა მოელ ტირაჟში (ათასებში)
37	ოდესა . . . . .	1	0,5	5,0	2,5
38	როსტოვი . . . . .	1	0,94	1,0	0,9
39	კიროვაბადი . . . . .	1	2,0	1,25	2,5
40	ერევანი . . . . .	43	590,73	224,75	2,229,11
41	ბაქო . . . . .	3	51,67	12,6	202,3

ცხრილი № 3

საქართველოს სსრ 1928—1948 წლების წიგნის პროდუქცია  
ნომინალური ფასებში (ფასიანი გამოცემები) \*

წლები	შეკვეთი ნორი	ყველა გამო- ცემათა კომ- პლექტების ანაბეჭდი ფურცელი (ათასებში)	ტირაჟი (ათასებში)	ანაბეჭდ ფურც- ელთა რაო- დენობა მოელ ტირაჟი (ათასებში)	ნომინალური ფასი	
1923—1927	2.130	14.228,64	6,514,5	49.266,1	2.431-26	5.980,25
1928—1932	4.179	25.166,34	20.027,15	126.450,2	4.066-19	16.031,1
1933—1937	2.726	27.030,4	26.099,73	208.205,199	9.201-59	48.407,99
1938—1940	2.371	18.526,4	17.367,275	143.829,687	9.271-44	45.092,3
1941—1945	2.231	13.748,64	12.144,5	71.255,6	15.735-05	54.836,2
1946—1948	1.911	17.627,63	14.072,0	13.222,85	17.108-60	76.621,45
სულ	15.548	116.325,05	96.225.155	737.229,636	57.814-13	246.969,29

\* \*

მიმზიდველია დღეს ქართული წიგნი თავისი გარეგნობით,  
ფორმატით, შრიფტით და მხატვრული გაფორმებით. ამ მხატვაც  
არ შეიძლება შევადაროთ იგი საბჭომდელ ქართულ წიგნს.

დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ქართველი გრაფიკოსი  
მხატვრები და ჩვენი გამომცემლობანი წიგნის მხატვრულად გა-  
ფორმებისათვის. მრავალ გაფორმებული წიგნი დიდი სამკაულიც  
არის ყოველი მუშის, კოლმეურნის და ინტელიგენტის ოჯახებში.

\* 1921—22 წლების წიგნის პროდუქციის ნომინალური ფასი ბონებში  
გამოიხატება და ამტკიც იგი ცხრილში არ შედგის.

პარტია და მთავრობა უდიდეს ლონისძიებას ღებულობენ რმის შემდგომ პერიოდში საგამომცემლო საქმის აღმავლობისათვის. პოლიგრაფიულ მრეწველობის ბაზის განმტკიცებისა და საგამომცემლო საქმის სწორად ორგანიზაციის მიზნით 1945 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსდება პოლიგრაფიისა და გამომცემლობათა სპეციალური სამშაროთველო.

პარტიისა და მთავრობის ამ ლონისძიებამ განვითარების ფართო შესაძლებლობა შეუქმნა წიგნისა და საგამომცემლო საქმეს ჩენენში, რომლის საუკეთესო გამოხატულებას 1946—48 წლების წიგნის პროდუქცია იძლევა, როგორც სახელშოდებათა და ტირაჟის რაოდენობის, ისე წიგნის მოცულობისა და მისი ხარისხის მხრივ.

\* \* \*

საბჭოთა წიგნი არა მარტო შისიურობით განსხვავდება ბურუუზიულ წიგნიდან, არამედ რაც მთავარია, იდეურიადაც. წიგნი ჩენენს ქვეყანაში ხალხის აღზრდისა და განათლების მძლავრი იარაღია. წიგნი შრომის დროს აგურია და ბრძოლის დროს ყუმბარა: (ა. მაშაშვილი).

„საქმე მარტო რაოდენობა როდია — აღნიშნავს გაზეთი „პრავდა““. — იმ წიგნებისაგან განსხვავებით, რომლებიც კაპიტალისტურ ქვეყანაში გამოდის, საბჭოთა წიგნები გამსჭვალულია მოწინავე, პროგრესიული იდეებით. ისინი ემსახურებიან ნამდვილ სახალხო ინტერესებს. საბჭოთა წიგნის ნაյადი ამღვრელული არ არის ისეთი გამოცემებით, რომლებიც გათვალისწინებულია იმისათვის, რომ დააბნელონ ხალხის შეგნება ცრუმორწმუნოებითა და მისტიკური სისულელით, რომ გაბრწნან მეითხველები ბულვარულ-სისხლის სამართლის „ლიტერატურით“ და სხვა „ნაგავით“\*.

1913 წელში გამოცემულ 247 სახელშოდების ქართული წიგნიდან მხოლოდ 44 სახელშოდების წიგნი არის მეცნიერული 42.014 ცალის საერთო ტირაჟით. ამავე წლის 18 სახელშოდების წიგნი ჩელიგიური შინაარსის არის, რომლის საერთო ტირაჟს 30.900 ეგზემცლარი შეადგენს.

„დღეს ფეხაღმული ქართველი მეითხველი კი, — აღნიშნავდა უურნ. „კვალი“ 1902 წელს, გაფაციცებით ეძებს და გაძებნინებთ თქვენ აღვილ-გასაგებ სამეცნიერო წიგნაკებს თვითგანვითარებისა. თვის. თქვენც იმათ ძებნაში დრო არ წაგივათ, ათიოდეს ჩამოვ-

\* საბჭოთა წიგნი სოციალისტური კულტურის მძლავრი იარაღია. „პრავდას“ 19/X-46 წ. მოწინავე. განხთ „კომუნისტი“ 20/X-48 წ. გვ. I.

ლის შემდეგ სახტად დარჩებით და ეუბნებით დამშეულ მკითხველს ქართულზე ამის მეტი არაფერია”.

მდიდარი და მრავალფეროვანია საბჭოთა საქართველოს წიგნის თემატიკა და შინაარსი. საბჭოთა წიგნი თავისი მოწინავე და პროგრესიული იდეებით ხალხის ინტერესებს ემსახურება. 1940 წელში გამოცემულ 1639 სახელწოდების წიგნიდან 200 სახელწოდება მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი შინაარსის წიგნი არის, რომლის საერთო ტირაჟი 380,000 ცალს უდრის. 1921—1948 წლებში (1924 წლის წიგნის პროდუქციის გამოქლებით) 4.990 სახელწოდების სამეცნიერო წიგნი გამოიცა 10.976,659 ცალის საერთო ტირაჟით.

